ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N2

ქ. ლანჩხუთი

26.06.2023 წელი
12.30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**

კომისიის წევრები: ემზარ თევდორაძე, კახა თედორაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ელისო ჭიჭინაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გივი ცინცაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, ზაზა წულაძე, ლოლიტა ურუშაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/ მომხსენებელი: **გიორგი იმნაიშვილი**/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე; 5. წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილმა.** აღნიშნა, რომ 2023 წელს რეგიონალური განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტის ნუსხა:

1. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე №114-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკველის რეაბილიტაცია 140717 ლარი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებასთან (კოლეჯი) მიმდებარედ მისასვლელი გზის მოწყობა 120000 ლარი.
3. ქ. ლანჩხუთში ნ.ურუშაძის, წერეთელის და ნინოშვილის შესახვევის ქუჩების რეაბილიტაცია 570000 ლარი.

სულ ჯამი 830717 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს რეგიონალური განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტის მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს რეგიონალური განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტი მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;
მომხრე ; 5. წინააღმდეგი: არცერთი.

2.სხვადასხვა.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ მალე 100 წელი შესრულდება საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის ,,გურიას" დაარსებიდან, სტადიონთან მისასვლელი გზა უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია, ვფიქრობ აუცილებელია აღნიშნული გზის ასფალტირება და კეთილმოწყობა.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /**გიორგი იმნაიშვილი**/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N2

2023 წლის 26 **ივნისს** მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. სხვადასხვა.

,

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები მოწონების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

26.06.2023 წელი.
12:30 საათზე.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	12 18	
2.	ემზარ თევდორაძე	12 25	
3.	სპარტაკ კვაჭაძე	12.26	
4.	ელისო ჭიჭინაძე	12 26	
5.	კახა თედორაძე	12 30'	
6.	ლოლიტა ურუშაძე	—	არ ესწრებოდა
7.	ზაზა წულაძე	—	არ ესწრებოდა
8.	გივი ცინცაძე	—	არ ესწრებოდა
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	—	არ ესწრებოდა